<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 1190-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1190. დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობის დადგენა

1. შვილის წარმოშობა ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან დგინდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში დაუქორწინებელი მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით. რეგისტრაციის ორგანოს ჩანაწერებში ბავშვის მშობლების თაობაზე შესაბამისი მონაცემი მიეთითება დაუქორწინებელი მშობლების მიერ წარდგენილი ერთობლივი განცხადების გათვალისწინებით.

2. მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან ასეთის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში მამობა შეიძლება, დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი. ბავშვის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ბავშვის მამობის დადგენის თაობაზე განცხადების წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მას.

3. მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევის შედეგების

(მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.

4 თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით მამობის დადგენა შეუძლებელია სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის თაობაზე განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ მამობის აღიარებას.

5. ბავშვის მამობის დადგენის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება ეგზავნება (წარედგინება) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესაბამის ორგანოს და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად რეგისტრაციის ორგანოს ჩანაწერებში ბავშვის მამის თაობაზე მიეთითება შესაბამისი მონაცემი.

6. პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის თაობაზე შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის შესახებ.

7. სასამართლოს შეუძლია უარი თქვას მამობის დადგენაზე, თუ ასეთი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული წესით მამობის დადგენისას მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც დაქორწინებულ პირთაგან დაბადებულ ბავშვებს.“

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**